

ტესტის სახელწოდება ინტერლეიკინ-6 (IL-6)

რას იკვლევს მოცემული ტესტი?

მოცემული ტესტის მეშვეობით შესაძლებელია სისხლში ინტერლეიკინ-6-ის (IL-6) კონცენტრაციის რაოდენობრივი განსაზღვრა.

ინტერლეიკინ-6 ციტოკინია, რომელსაც ორგანიზმში ბევრი ფუნქცია აკისრია. მის ფუნქციათაგან ერთ-ერთი უმთავრესია იმუნური პასუხის რეგულირება. ინტერლეიკინ-6-ს მრავალი სხვადასხვა სახის უჯრედი გამოიმუშავებს, მათ შორის, B-ლიმფოციტები, T-ლიმფოციტები, მონოციტები, ფიბრობლასტები, ნეოპლაზმური უჯრედები და სხვ. ინტერლეიკინ-6 იმატებს ანთებითი რეაქციებისას, რომლებიც თავის მხრივ, გამოწვეული შეიძლება იყოს ანთებით, ტრავმით, კიბოთი და ზოგიერთი სხვა მდგომარეობით.

ინტერლეიკინ-6 შეიძლება გამოდგეს, როგორც:

- სეფსისის და სეპტიური შოკის მარკერი – იგი ექიმს ეხმარება ამ მდგომარეობების დროულ დიაგნოსტიკასა და პროგნოზის შეფასებაში;
- COVID-19-ის მძიმე შემთხვევების ადრეული ინდიკატორი.

COVID-19-ის მძიმე შემთხვევებში, პაციენტთა ნაწილს უვითარდება ე.წ. «ციტოკინური ქარიშხალი», რომელიც დაკავშირებულია ციტოკინების ჭარბ გამოთავისუფლებასთან და პაციენტის მდგომარეობის მკვეთრ დამძიმებასთან.(1-3) ამან კი შეიძლება გამოიწვიოს ორგანოების უკმარისობის განვითარება და პაციენტის სიკვდილი.

ამგვარ შემთხვევებში, ინტერლეიკინ-6 შეიძლება გამოიყენონ როგორც ანთების ბიომარკერი – მისი დახმარებით COVID-19-ის მქონე პაციენტებში დაავადების სიმძიმის წინასწარ განსაზღვრა არის შესაძლებელი.(4-6) ინტერლეიკინ-6-ის ანალიზის მეშვეობით ასევე შეიძლება პაციენტის მდგომარეობის გაუარესების ადრეული აღმოჩენა.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?

ინტერლეიკინ-6-ის ანალიზი შეიძლება დაინიშნოს:

- ზოგიერთი ავტოიმუნური დაავადების (მაგალითად, რევმატოიდული ართრიტისა და სისტემური წითელი მგლურას) დროს, პაციენტის მდგომარეობის მონიტორინგისა და რისკების შეფასებისთვის;
- სეფსისისა და სეპტიური შოკის განვითარების რისკის შეფასებისთვის; ასევე სეფსისის მქონე პაციენტებში პროგნოზის შესაფასებლად;
- COVID-19-ის სიმძიმის და პროგნოზის შეფასებისთვის.

ინტერლეიკინ-6-ის ანალიზი ხშირად CRP-ს ტესტთან ერთად ინიშნება.

როგორ კეთდება ეს ტესტი?

ანალიზისთვის საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?

ეს ანალიზი არ საჭიროებს სპეციალურ მომზადებას.

შედეგების ინტერპრეტაცია

შედეგების ინტერპრეტაცია ექიმის მიერ უნდა მოხდეს. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ინტერლეიკინ-6-ის ანალიზი დიაგნოზის დასმისთვის საკმარისი არ არის და შესაბამისად, შედეგების ინტერპრეტაცია სხვა კლინიკური და დიაგნოსტიკური მონაცემების გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

ნორმაში ინტერლეიკინ-6-ის აღმოჩენა არ ხერხდება ან მისი კონცენტრაცია ძალიან დაბალია.

ინტერლეიკინ-6-ის მომატებული დონე, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია ორგანიზმში რაიმე ანთების არსებობასთან. ინტერლეიკინ-6-ის მომატება შეიძლება გამოიწვიოს შემდეგმა მდგომარეობებმა: ინფექციებმა, სეფსისმა, ზოგიერთი სახეობის კიბომ, ავტოიმუნურმა დაავადებებმა (მაგალითად, რევმატოიდულმა ართრიტმა და სისტემურმა წითელმა მგლურამ) და სხვ.

გამოყენებული წყაროები

1. Ye Q, Wang B, Mao J. The pathogenesis and treatment of the 'Cytokine Storm' in COVID-19. *J Infect.* 2020;80(6):607–13.
2. Jose RJ, Manuel A. COVID-19 cytokine storm: the interplay between inflammation and coagulation. *Lancet Respir Med.* 2020 Jun 1;8(6):e46–7.
3. Mehta P, McAuley DF, Brown M, Sanchez E, Tattersall RS, Manson JJ. COVID-19: consider cytokine storm syndromes and immunosuppression. *Lancet Lond Engl.* 2020;395(10229):1033–4.
4. Velavan TP, Meyer CG. Mild versus severe COVID-19: Laboratory markers. *Int J Infect Dis.* 2020 Jun 1;95:304–7.
5. Han H, Ma Q, Li C, Liu R, Zhao L, Wang W, et al. Profiling serum cytokines in COVID-19 patients reveals IL-6 and IL-10 are disease severity predictors. *Emerg Microbes Infect.* 2020 Jan 1;9(1):1123–30.
6. Aziz M, Fatima R, Assaly R. Elevated interleukin-6 and severe COVID-19: A meta-analysis. *J Med Virol* [Internet]. [cited 2020 Jul 24];n/a(n/a). Available from: <https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1002/jmv.25948>